თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 1595

„21“ დეკემბერი 2016 წ. ქ. თელავი

**„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 19 ნოემბრის №1317 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 19 ნოემბრის №1317 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ს დაემატოს (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 34300000, სტრ.N36) "ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისთვის" შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 2542 ლარით. შესყიდვის საშუალება კონსოლიდირებული შესყიდვა. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;

2. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ში (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 37500000, სტრ.N41) „თამაშები და სათამაშოები; ატრაქციონები“ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ნაცვლად 4000 ლარისა განისაზღვროს 4430 ლარით. შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;

3. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ში (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 50200000, სტრ.N70) „თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები" შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ნაცვლად 110000 ლარისა განისაზღვროს 140000 ლარით. შესყიდვის საშუალება გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (პრეისკურანტით). დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;

4. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ს დაემატოს (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 92600000, სტრ.N114) „სპორტული მომსახურებები" შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 300 ლარით. შესყიდვის საშუალება კონსოლიდირებული შესყიდვა. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;

5. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N2-ს დაემატოს (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 31500000, სტრ.N4) „გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები" შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 14200 ლარით. შესყიდვის საშუალება გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა);

მუხლი 2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

GEORGIA. SELF-GOVERNING COMMUNITY OF TELAVI MUNICIPALITY GOVERNMENT
231290706